პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ თებერვალი, 2025 წ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების და სათადარიგო ნაწილების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული ავტობუსი და სათადარიგო ნაწილები (თანახმად დანართისა) შემდგომში, აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების და სათადარიგო ნაწილების ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით:

1.1. მარკა-ISUZU; მოდელი - BOGDAN A092; საიდენტიფიკაციო ნომერი - Y7BA092014B000353 სარეგისტრაციო ნომერი - DD522LL, საბალანსო ღირებულებით - 8366,32 (რვა ათას სამას სამოცდაექვსი ლარი და 32 თეთრი) ლარი;

1.2. მარკა-ISUZU; მოდელი - BOGDAN A092; საიდენტიფიკაციო ნომერი - Y7BA092014B000345 სარეგისტრაციო ნომერი - DD523LL, საბალანსო ღირებულებით - 8366,32 (რვა ათას სამას სამოცდაექვსი ლარი და 32 თეთრი) ლარი.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ თითოეული ავტობუსის საბალანსო ღირებულებიდან 200 (ორასი) ლარი შეადგენს მარეგისტრირებელ ორგანოში (სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო”) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციის საფასურს.

3. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების და სათადარიგო ნაწილების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის (14-1425021515, 21.01.2025წ და 14-1425042250, 11.02.2025წ) კორესპონდენცია, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 5 ივნისის N114-1142315642 კორესპონდენციასთან ერთად, რომელიც ეხება ორი ერთეული მეორადი, BOGDAN-ის ტიპის ავტობუსის და ამავე მოდელის ავტობუსების სათდარიგო ნაწილების ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემას შემდგომში, შპს ,,ქობულეთის ტრანსრეგულირება“-სათვის გადაცემის მიზნით. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 იანვრის N№14.14250283 ბრძანებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღებულ იქნა შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს (ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი) მიერ გადმოცემული BOGDAN-ის მოდელის 2 ავტობუსი და სათადარიგო ნაწილები (თანახმად დანართისა).

როგორც ცნობილია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი მის საკუთრებაში არსებული ქონება საკუთრებაში გადასცეს სხვა მუნიციპალიტეტს. გამომდინარე აქედან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული ავტობუსი და სათადარიგო ნაწილები შემდგომში, ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადასაცემად (შპს ,,ქობულეთის ტრანსრეგულირება“-სათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით).

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის ორი ავტობუსის და სათადარიგო ნაწილების საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**